



გამომცემლები

პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ჰაინერ ალვარტი
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, დოქტორი აქსელ ბოეტიხერი
პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ოთარ გამყრელიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი ვიცე პრეზიდენტი, დოქტორი ბურკჰარდ იენკე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პროფ. დოქტორი დავით სულაქველიძე
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა
პროფ. დოქტორი ედვარდ შრამი
პროფ. დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი
პროფ. დოქტორი მარტინ ჰეგერი

მთავარი რედაქტორი

ასისტენტი, სამართლის დოქ. ანრი ოხანაშვილი (თსუ), LL.M. (იენა)

შინაარსი

სტატიები

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვისთვის

პროფესორი, სამართლის დოქ. *იოსებ ვარძელაშვილი*, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

1

წიგნის რეცენზია

ანრი ოხანაშვილი: „ორბანიზატორული ამსრულებლისა და ორბანიზატორის დასჯადობა გერმანიასა და საქართველოში“

ბადენ-ბადენი, 2021, Nomos, Schriften zum Internationalen und Europäischen Strafrecht (58-ე ტომი), ISBN: 978-3-8487-7756-3, 444 გვერდი, 116 ევრო
სამართლის დოქტორი *მარტინ ჰიაცენა*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

5

ანგარიში

გერმანელი და ქართველი მეცნიერების ახალი თანამშრომლობა სისხლის სამართალში: გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული ლექსიკონი, ანგარიში

სამართლის დოქტორი *მარტინ ჰიაცენა*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

10





სარედაქციო კოლეჯია

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი
ბრემენის მიწის სასამართლოს კოლეჯიის თავმჯდომარე
ყოფილი მოსამართლე, დოქ.
ბერნდ ასბროკი
ბრემენის რაიონული სასამართლოს
ვიცე-პრეზიდენტი ელენ ზესტი
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, დოქ. აქსელ ბოეტტიხერი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე
ასოცირებული პროფ. დოქ. ირაკლი დვალიძე
პროფ. დოქ. მარტინ პაულ ვასმერი
ასოცირებული პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი
LL.M. (ბერლინი)
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
ვიცე პრეზიდენტი, დოქ. ბურკჰარდ იენკე
ადვოკატი დავიდ კონრადი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. თამარ ლალიაშვილი
ასისტენტი-პროფ. დოქ. ლაფრენტი მალლაკელიძე
პროფ. დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი LL.M.
(ფრაიბურგი)
ასისტენტი, სამართლის დოქ. ანრი ოხანაშვილი LL.M.
(იენა)
დოქ. ანეკე პეტცუე
დოქ. მარტინ პიაცენა
დოქ. ეროლ პოლრაიხი
სამეცნიერო რეფერენტი მაქს-პლანკის სახელობის
დანაშაულის, უსაფრთხოებისა და სამართლის
შესწავლის ინსტიტუტში, დოქ. იოანა რინჩიანუ LL.M.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. დავით სულაქველიძე
ტერეზა ტალჰამერი
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
თავმჯდომარე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა
ასოცირებული პროფ. მორის შალიკაშვილი LL.M.
(ჰამბურგი)
პროფ. დოქ. ედვარდ შრამი
ასისტენტი-პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
ასისტენტი-პროფ. დოქ. ლევან ხარანაული
ასისტენტი-პროფ. დოქ. მაკა ხოდელი LL.M. (ფრაიბურგი)
ასოცირებული პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M.
(მიუნხენი)
პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი
პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი

ჟურნალის 2022 წლის

პირველი გამოცემის სამუშაო ჯგუფი

თარგმანი:

აზა მორგოშია LL.M. (კიოლნი), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი
სამართლის დოქ. მარტინ პიაცენა, ჟურნალის
სამუშაო ჯგუფის წევრი
მარიკა ტურავა LL.M. (ჩიკაგო), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი

სამეცნიერო რედაქტირება ქართულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

ლევან კასრაძე LL.M. (ოსლო), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი

სამეცნიერო რედაქტირება გერმანულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

სამართლის დოქ. მარტინ პიაცენა, ჟურნალის
სამუშაო ჯგუფის წევრი

2022 წლის პირველ გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი და საბოლოო რედაქციული კონტროლი:

ჟურნალის მთავარი რედაქტორი, სამართლის დოქ.
ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა), ასისტენტი (თსუ),
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა
კომიტეტის თავმჯდომარე

ტექნიკური მხარდაჭერა: გვანცა მახათაძე

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვისთვის

პროფესორი, სამართლის დოქ. *იოსებ ვარძელაშვილი*, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

I. შესავალი

ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვასთან დაკავშირებული დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის¹ 276-ე მუხლის პირველი ნაწილით. აღნიშნული ნორმა სიახლეა ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2018 წლის 30 ნოემბერს შეტანილი ცვლილების შედეგად, რომელიც 2019 წლის 1 აპრილიდან ამოქმედდა, სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი გახდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვა. ამ ცვლილების ამოქმედებამდე ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვა მხოლოდ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას იწვევდა.

სტატიის მიზანია ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებებისა და საკანონმდებლო სიახლეების განხილვა და ანალიზი. საინტერესოა, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვა სისხლისსამართლებრივი წესით რატომ არ ისჯება და რა განსხვავებაა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვასა და ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვას შორის. ამასთანავე, ანალოგიურად საინტერესოა ნარკოტიკული საშუალების ანალოგის ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვა სისხლისსამართლებრივი წესით რატომ არ ისჯება მაშინ, როცა ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვა დასჯადია, ხოლო ექიმის დანიშნულების გარეშე ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს.

სტატიაში განიხილება ყველა ის პრობლემატური საკითხი, რომელიც ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვას ეხება.

II. ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვა

ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვის პრობლემატური საკითხების განხილვამდე მიზანშეწონილია, განმარტებულ იქნეს სსკ-ის 276-ე მუხლის კანონისმიერი შინაარსი. სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასჯადია ავტომობილის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრაქტორის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მართვა.

აღნიშნული მუხლის შინაარსიდან როგორც ირკვევა, სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადია სატრანსპორტო საშუალების ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მართვა. 2019 წლის 1 აპრილამდე ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ (ალკოჰოლურ სიმთვრალესთან ერთად) ავტომობილის მართვა იწვევდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. ამდენად, კანონმდებელმა მოახდინა აღნიშნული ქმედების კრიმინალიზაცია და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაადგინა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვისთვის, ხოლო ალკოჰოლური თრობის ქვეშ ავტომობილის მართვა დღესდღეობითაც ადმინისტრაციული წესით დასჯადი ქმედებაა.

სატრანსპორტო დანაშაულები, ზოგადად, მიეკუთვნება საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა

¹ შემდგომ შემოკლებული როგორც სსკ.

კატეგორიას. სატრანსპორტო დანაშაულების სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი ის საზოგადოებრივი ურთიერთობაა, რომელიც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული. გასაკვირი არც არის, რომ ნარკოტიკული ნივთიერების (მათ შორის, მარიხუანის) ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვა მომეტებული საფრთხის შემცველია, რის გამოც ეს ქმედება სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადად გამოცხადდა, რაც მიზანშეწონილია. თუმცა საინტერესოა, ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ავტომობილის მართვა სისხლისსამართლებრივი წესით რატომ არ ისჯება? შესაძლებელია თუ არა, აღნიშნული იმაზე მიანიშნებდეს, რომ ნარკოტიკული ნივთიერების (მათ შორის, მარიხუანის) ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვა ალკოჰოლური თრობის ქვეშ ავტომობილის მართვასთან შედარებით უფრო საშიში ქმედებაა? რატომ არსებობს ასეთი დიფერენცირებული მიდგომა?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი მოსაზრებები. მართალია, ამ გადაწყვეტილებაში საუბარია ძირითადად ნარკოტიკულ საშუალებასთან – მარიხუანასთან მიმართებით, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადია მარიხუანის ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვაც.

მარიხუანა შედარებადია ასევე კანონით დაშვებული ნივთიერებების (სიგარეტის, ალკოჰოლის) მოხმარებით გამოწვეულ საფრთხესთან. ექსპერტ ანდლულაძის განმარტებით, ალკოჰოლის მავნედ მოხმარების შემთხვევაში არანაკლები ფსიქო-ფიზიკური და სამართლებრივი სირთულეები იქმნება.² საკონსტიტუციო სასამართლოს იმავე გადაწყვეტილებაში ნათქვამია შემდეგი: „მოწმე (ზ. შენგელია) მიუთითებდა, რომ მარიხუანა შედარებადია ალკოჰოლთან, თამბაქოსთან და ცალკეულ შემთხვევაში არა მხოლოდ იდენტური, არამედ ნაკლები საფრთხის გამოწვევაუნარიანიც არის.“³

ნებისმიერი სახის ნივთიერება (ალკოჰოლი თუ ნარკოტიკული ნივთიერება) და ნებისმიერი ხარის-

ხის (მსუბუქი, საშუალო, თუ ძლიერი) სიმთვრალე ანელეს პირის რეაქციის უნარს და ასეთ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვა მომეტებული საფრთხის შემცველია.⁴

ალკოჰოლური თრობის ან სხვა მათრობელი საშუალების ზემოქმედების ქვეშ მანქანის მართვა უმეტეს ქვეყნებში სისხლის სამართლის დანაშაულია, რასაც არაერთი მიზეზი აქვს. ალკოჰოლის ეფექტი მძღოლებზე იმ ფაქტორთაგან ერთ-ერთია, რომელიც ყველაზე მეტად ზრდის ავტოსაგზაო შემთხვევების რისკს.⁵ ალკოჰოლური თრობის ქვეშ ავტომანქანის მართვის წინააღმდეგ მიმართული უფრო მკაცრი ნორმებისა და წესების დადგენის სარგებელი არაერთ კვლევაშია აღწერილი, რაც გზებზე სიკვდილიანობის რიცხვის შემცირებაში გამოიხატება.⁶

ალკოჰოლი ანელეს რეაქციის დროს. მძღოლს აღნიშნება ისეთი სიმპტომები, როგორებიც არის კონცენტრაციისა და მხედველობის დაქვეითება. ეს დამოკიდებულია მოხმარებული ალკოჰოლის რაოდენობაზე, მძღოლის ზოგად ფიზიკურ მდგომარეობასა და სხვა ფაქტორებზე.⁷

ამ თვალსაზრისით საინტერესოა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება; მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია ავტომობილის მართვა როგორც ალკოჰოლური, ისე ნარკოტიკული თრობის ქვეშ. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 316-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის თანახმად, ის, ვინც სატრანსპორტო საშუალებას მართავს, თუმცა ალკოჰოლის ან სხვა მათრობელი ნივთიერების მოხმარების გამო სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოდ მართვა არ შეუძლია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით ან ჯარიმით. ამავე პარაგრაფის მე-

⁴ იხ. *ლეკვეიშვილი, მზია/თოდუა, ნონა/მამულაშვილი, გოჩა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მე-5 გამოცემა, 2017, გვ. 129.

⁵ იხ. *ბიორგო, ტორე*, დანაშაულის პრევენცია, პირველი ქართული გამოცემა, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, 2019, გვ. 223.

⁶ იხ. *ბიორგო, ტორე*, დანაშაულის პრევენცია, პირველი ქართული გამოცემა, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, 2019, გვ. 230.

⁷ ალკოჰოლის ზემოქმედებასთან დაკავშირებით იხ. <https://www.transparent-beraten.de/schadensfall-lexikon/alkohol-am-steuer-strafen/#Tabelle> (ბოლოს ნანახია 10.05.2022).

² იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ 1/4/592).

³ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№ 1/4/592).

ორე ნაწილის მიხედვით კი, დასჯადია იმავე ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენაც.

გერმანიის კანონმდებლობა უფრო შორს მიდის და დასჯად ქმედებად აცხადებს ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ არა მხოლოდ ავტომობილის მართვას, არამედ ველოსიპედის მართვასაც; კერძოდ, ის, ვინც ალკოჰოლური სასმლის მოხმარების გამო ვერ ახერხებს სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოდ მართვას, ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.⁸

მართალია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ბოლო დროს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად გარკვეულწილად გამკაცრდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვისათვის (სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებასთან ერთად გათვალისწინებულ იქნა ადმინისტრაციული პატიმრობაც), თუმცა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვა მაინც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად დარჩა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ ალკოჰოლური თრობის ქვეშ ავტომობილის მართვაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევდეს, ვინაიდან ის, ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვის მსგავსად, მომეტებული საფრთხის შემცველია. ამასთანავე, აუცილებელია დიფერენცირებული მიდგომის დაწესება, კერძოდ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება დამოკიდებული უნდა იყოს მძღოლის სისხლში ეთანოლის შემცველობის რაოდენობაზე, როგორც ეს გერმანიის კანონმდებლობით არის განსაზღვრული; თუ სისხლში ალკოჰოლის დონე მინიმუმ 1,1 პრომილეა, ამ დროს მძღოლი სამართავად აბსოლუტურად უვარგისად მიიჩნევა.⁹

ზემოთ როგორც აღინიშნა, ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვა სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი

ქმედებაა. თუმცა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა. აქედან გამომდინარე, ის, ვინც სატრანსპორტო საშუალებას ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მართავს, სისხლისსამართლებრივი წესით ისჯება, ხოლო თანამონაწილე (წამქეზებელი თუ დამხმარე), რომელმაც დაიყოლია ან ხელი შეუწყო ამ ქმედების ჩამდენს, ადმინისტრაციული წესით ისჯება. ისმება შეკითხვა: ყოველივე აღნიშნული რამდენად შეესაბამება თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას? ზემოაღნიშნულიდან როგორც გამომდინარეობს, ამსრულებელი ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით, ხოლო თანამონაწილე – ადმინისტრაციული წესით. ამდენად, ამ მხრივაც არსებობს გარკვეული შეუსაბამობა, რის გამოც მიზანშეწონილია, სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის სისხლისსამართლებრივი წესით დასჯად ქმედებად გამოცხადდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველ ნაწილთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ ამ ნორმაში საუბარია როგორც ნარკოტიკული საშუალების, ისე ფსიქოტროპული ნივთიერებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ სატრანსპორტო საშუალების მართვაზე. თუმცა აღნიშნულ ნორმაში არ არის მითითებული ნარკოტიკული საშუალების ანალოგზე; მაგალითად, თუ პირი იმყოფება ნარკოტიკული საშუალების ანალოგის ზემოქმედების ქვეშ და მართავს ავტომობილს, ეს ქმედება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს. სისხლის სამართალში მოქმედებს მკაცრად განსაზღვრული კანონიერების პრინციპი და კანონის ანალოგია დაუშვებელია პირის საზიანოდ.

ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვასთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ ეს ქმედება დასჯადია სისხლისსამართლებრივი წესით, რის შესახებაც მითითებულია სსკ-ის 276-ე მუხლის დისპოზიციამი. შესაბამისად, ისმება შეკითხვა: რამდენად სამართლიანია, რომ ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვა სისხლისსამართლებრივი წესით ისჯებოდეს, ხოლო ნარკოტი-

⁸ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 316-ე პარაგრაფთან დაკავშირებით იხ. <https://www.ramom.de/rechtsthemem/verkehrsrecht/trunkenheit-im-verkehr---strafe.html> (ბოლოს ნანახია 10.05.2022).

⁹ ალკოჰოლის დონის დადგენასთან დაკავშირებით იხ. <https://anwaltstrafrecht.berlin/trunkenheit-im-verkehr-%C2%A7-316-stgb/> (ბოლოს ნანახია 10.05.2022).

კული საშუალების ანალოგის ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევდეს მაშინ, როცა ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონოდ მოხმარება საერთოდ არ იწვევს სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ხოლო ნარკოტიკული საშუალების ანალოგის პირველად მოხმარება ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას იწვევს, 1 წლის განმავლობაში მეორედ მოხმარება კი სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი ქმედებაა?

ამდენად, ნარკოტიკული საშუალების ანალოგის მოხმარება უფრო საშიში ქმედებაა, ვიდრე ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარება. ამრიგად, სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველ ნაწილში ამ მხრივაც არსებობს გარკვეული შეუსაბამობა ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვასთან დაკავშირებით.

ბოლოს შეიძლება ითქვას, რომ თუკი ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვა სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადია, მით უფრო სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი უნდა იყოს ნარკოტიკული საშუალების ანალოგის ზემოქმედების ქვეშ სატრანსპორტო საშუალების მართვაც. შესაბამისად, ვლინდება სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილის ამ მხრივ შესწორების საჭიროება.

III. დასკვნა

სტატიაში განხილულ იქნა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვის სისხლისსამართლებრივი მოწესრიგების პრობლემა. ნაშრომში აღინიშნა ალკოჰოლური თრობის ქვეშ ავტომობილის მართვისას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანშეწონილობის შესახებ. იმ დროს, როდესაც ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვა სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი ქმედებაა, ალკოჰოლური თრობის ქვეშ სატრანსპორტო საშუალების მართვაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უნდა იწვევდეს (მძღოლის სისხლში ეთანოლის შემცველობის რაოდენობის მიხედვით), რადგან აღნიშნული ქმედება არანაკლები საფრთხის შემცველია.

ამასთანავე, ვინაიდან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვა დანაშაულია, სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის ასევე სისხლისსამართლებრივი წესით დასჯად ქმედებად უნდა გამოცხადდეს.

სტატიაში ასევე აღინიშნა, რომ ავტომობილის მართვა ნარკოტიკული საშუალების ანალოგის ზემოქმედების ქვეშ არ არის სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი ქმედება, რაც მიზანშეუწონელია. იმ დროს, როდესაც ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვა სისხლისსამართლებრივი წესით ისჯება, მით უფრო სისხლისსამართლებრივი წესით უნდა ისჯებოდეს ნარკოტიკული საშუალების ანალოგის ზემოქმედების ქვეშ სატრანსპორტო საშუალების მართვაც, ვინაიდან ის უფრო საშიში ქმედებაა.

ანრი ოხანაშვილი: „ორგანიზატორული ამსრულებლისა და ორგანიზატორის დასჯადობა გერმანიასა და საქართველოში“*

ბადენ-ბადენი, 2021, Nomos, Schriften zum Internationalen und Europäischen Strafrecht (58-ე ტომი), ISBN: 978-3-8487-7756-3, 444 გვერდი, 116 ევრო

სამართლის დოქტორი *მარტინ პიაცენა*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციული ბატონობის საფუძველზე შუალობითი ამსრულებლობა გერმანიაში ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის შესახებ მოძღვრების ყველაზე ინტენსიურად განხილვად პრობლემებს მიეკუთვნება. ქართული სისხლის სამართალი, დამხმარისა და წამქეზებლის ფიგურასთან ერთად, იცნობს თანამონაწილეობის მესამე ფორმას ორგანიზატორის სახით, რომელიც სათავეს საბჭოთა დროიდან იღებს, მისი მნიშვნელობა და არსებობის მართებულობა კი დღეს განსაკუთრებით საკამათოა. *ობანაშვილის* დისერტაციის მთავარი სათქმელის მიზანი არ არის მხოლოდ სხვადასხვა დოგმატურ დასაბუთებასთან დაპირისპირება, არამედ ავტორის განზრახვა უფრო მეტად ორგანიზატორული ამსრულებლისა და ორგანიზატორის (როგორც თანამონაწილეობის ფორმის) სამართლებრივი ფიგურების ერთმანეთთან შეპირისპირებისკენ არის მიმართული, რომელთა საერთო საფუძველს ის შუალობით ამსრულებლობაში ხედავს (გვ. 18). აქედან გამომდინარე, ნაშრომი სამ ძირითად ნაწილად იყოფა, სადაც თითოეული სამართლებრივი ფიგურის დეტალურ ანალიზს (A და B ნაწილები) შედეგების სამართლებრივი შედარება (ნაწილი C) მოჰყვება.

დისერტაციის პირველ ნაწილში (გვ. 21 და მომდევნო გვერდები) შეჯამებულია *როქსინის* მიერ შემუშავებული ორგანიზატორული ამსრულებლის სამართლებრივი ფიგურა. ავტორი დაწვრილებით მიჰყვება იმის კვალს, თუ აიხმანისა და სტაშინსკის ცნობილმა პროცესებმა წინა საუკუნეში როგორ მისცა ბიძგი ორგანიზაციული ბატონობის კონცეფციის განვითარებას გერმანიაში, – ჯერ კიდევ მანამ, სანამ მისი შემადგენელი ისეთი ცალკეული

ელემენტები შემუშავდებოდა, როგორებიც არის „უკან მდგომი დამნაშავეს მიერ ბრძანების გაცემის უფლებამოსილება“, „ამსრულებელთა ჩანაცვლება“ და „სამართლის მიღმა მდგომი ძალაუფლების აპარატი“ (გვ. 37 და მომდევნო გვერდები). ამასთანავე, გასათვალისწინებელია „ამსრულებლის მიერ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების არსებითად მომატებული მზაობა“ (გვ. 45 და მომდევნო გვერდები). მიუხედავად იმისა, რომ კვლევა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციულ აპარატზე არის კონცენტრირებული და ორგანიზაციული ბატონობის საკითხის კომერციულ სანარმოებზე გავრცელების თემას შეგნებულად არ ეხება (გვ. 20 და მომდევნო გვერდები), ეს საკითხი *როქსინის* მოსაზრების გაზიარებით შემდგომ მაინც უარყოფილია (გვ. 40 და მომდევნო გვერდები).

შემდგომ წარმოდგენილი გერმანიის ფედერალური სასამართლოს სათანადო პრაქტიკის ანალიზი ქართველი მკითხველისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება, რადგან ამ გზით ნათელი გახდება არა მხოლოდ ორგანიზაციული ბატონობის ფარგლები, არამედ მისი ისტორიული კონტექსტიც, კერძოდ, გდრ-ის სამხედრო ძალაუფლების აპარატის მიერ შიდაგერმანულ საზღვარზე ჩადენილი მკვლევლობების 1990-იან წლებში სამართლებრივად განახლების საკითხი. ამის შემდეგ *ობანაშვილი* თანამიმდევრულად ყურადღებას ამახვილებს გერმანიის ფედერალური სასამართლოს 1994 წლის გადაწყვეტილებაზე (რომელიც აღმოსავლეთ გერმანიის ეროვნული თავდაცვის საბჭოს წევრების წინააღმდეგ იქნა გამოტანილი (BGHSt 40, 218)) და იგი ანალიზის შედეგად იზიარებს იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, ზემოხსენებული გადაწყვეტილება სასამართლო პრაქტიკის მიერ ორგანიზა-

* რეცენზია გერმანულიდან თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა, აზა მორგოშიამ.

ციული ბატონობის აღიარებად არის შეფასებული (გვ. 70). ნაშრომში ასევე დაწვრილებით არის აღწერილი პერუს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისოდ აღიარებული 2009 წლის განაჩენი პერუს ყოფილი პრეზიდენტის, ალბერტო ფუჯიმორის, წინააღმდეგ (გვ. 100 და მომდევნო გვერდები), რათა უკეთ იქნეს ნაჩვენები ორგანიზაციული ბატონობის ტრანსნაციონალური აღქმა და მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ორგანიზაციული ბატონობის კონცეფციის მაფიის მსგავს და ტერორისტულ სტრუქტურებზე გამოყენებისგან თავის შეკავებას გერმანიის ფედერალურ სასამართლოსთან მიმართებით აკრიტიკებს (გვ. 115, 302-303), ის სასამართლოს სათანადო პრაქტიკას, როგორც „ძირითადად მართებულს“, მაინც ამგვარად აფასებს (გვ. 114).

დისერტაციის პირველი თავის მთავარი და ამავდროულად ყველაზე მოცულობითი ნაწილია ორგანიზაციული ბატონობის შესახებ სხვადასხვა სამეცნიერო მსჯელობის ერთმანეთთან შეპირისპირება (გვ. 116 და მომდევნო გვერდები). დასაწყისში განხილულია თითოეული წინაპირობა, მათ შორის, განსაკუთრებით საკამათო ნიშნების – „სამართლის მიღმა მდგომი ძალაუფლების აპარატისა“ და „ამსრულებელთა ჩანაცვლებადობის“ – მხარდასაჭერი და საწინააღმდეგო არგუმენტები. ამასთანავე, ორგანიზაციული ბატონობა გამოკვლეულია პირადი პასუხისმგებლობის პრინციპთან შესაბამისობის თვალსაზრისით და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მეორე ალტერნატივის ტექსტის ფორმულირების მიხედვით (გვ. 200 და მომდევნო გვერდები). ამომწურავი განხილვის შედეგად კი *ობანაშვილი* ასკვნის, რომ ორგანიზაციული ბატონობა შუალობითი ამსრულებლობის გამოვლინების „მესამე“, „სრულფასოვანი“ ფორმაა (გვ. 227, 304). ძალაუფლების აპარატის მეშვეობით დანაშაულის ჩადენა შეესაბამება არა მხოლოდ კანონის ტექსტს (გვ. 228, 202), არამედ როქსინისიული გაგებით – შუალობითი ამსრულებლობისათვის დამახასიათებელ ნებელობით ბატონობასაც (გვ. 228-229). ამავე დროს, სამართლებრივ სახელმწიფოში არ რჩება კანონს მიღმა მოქმედი სახელმწიფო ძალაუფლების აპარატის არსებობისთვის სივრცე. ამიტომ ამ სამართლებრივი ფიგურის გამოყენების არეალად განისაზღვრება მაფიის მსგავსი და ტერორისტული ორგანიზაციები (გვ. 186-187; 302-303).

ანალიზი მთავრდება ძალაუფლების აპარატის მეშვეობით შუალობითი ამსრულებლობის სხვადასხვა დასაბუთების დაწვრილებითი მიმოხილვით, რომელიც წარმოდგენილია ანგარიშგასანევი დაყოფით, ორგანიზაციულ ბატონობასთან ახლოს მდგომი („მოდულირებული დასაბუთება“, გვ. 229 და შემდგომი გვერდები) და მისგან განსხვავებული მიდგომები („კონკურენტული დასაბუთებები“, გვ. 248 და შემდგომი გვერდები). ბოლოს კი შეფასებულია ორგანიზაციული ამსრულებლის, როგორც თანამსრულებლის ან წამქეზებლის, დასჯადობა (გვ. 281 და მომდევნო გვერდები), ხოლო ეს დაშვება, როგორც შეუსაბამო და შეუთავსებელი, უარყოფილია (გვ. 301). შედეგად, მკითხველისთვის შეთავაზებულია ორგანიზაციული ძალაუფლების აპარატის მართვის უკან მდგომი დამნაშავის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ მსჯელობის ერთიანი შეჯამება.

ნაშრომის მეორე მოცულობითი ნაწილი ეხება ორგანიზატორის, როგორც თანამონაწილის, ფიგურას ქართულ სისხლის სამართალში (გვ. 305 და მომდევნო გვერდები). ორგანიზაციული ბატონობის გამოკვლევის მსგავსად, აქაც განხილულია ამ სამართლებრივი ფიგურის წარმოშობის, კონცეფციისა და მისთვის დამახასიათებელი ნიშნების ძირითადი საკითხები და სათანადო სასამართლო პრაქტიკა. თუმცა ამ ყველაფერს წინ უძღვის შესავალი ქართული სისხლის სამართლით გათვალისწინებული ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის სისტემაში (გვ. 305 და მომდევნო გვერდები). მცირე ისტორიული მონახაზის შემდეგ, რომელშიც *ობანაშვილი* მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის წარმოშობას აღწერს როგორც 1991 წელს საბჭოთა კავშირისგან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შედეგს, ის მიმოიხილავს ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის შესახებ მოძღვრების 1960-იანი წლებიდან დღევანდელ მდგომარეობამდე განვითარებას. ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ფორმების პარალელურად მოკლედ არის მიმოხილული ე. წ. ჯგუფური დანაშაული და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ორგანიზაციული დანაშაულები. ავტორი ამ ეტაპზევე მიანიშნებს ორგანიზატორის ფიგურის „სამგანზომილებიან მნიშვნელობაზე“, რომლის მიხედვითაც, იგი შეიძლება იყოს არა მხოლოდ თანამონაწილე, არამედ ასევე ორგანიზაციული ჯგუფის შემქმნელი, ხელმძღვანელი ან ისეთი

დანაშაულის ამსრულებელი, რომლის შემადგენლობაც შესაძლოა ორგანიზატორულ საქმიანობაში გამოიხატოს (გვ. 322). ამგვარად, ეს შესავალი ნაწილი მომდევნო მსჯელობის აღსაქმელად არა მხოლოდ მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის, არამედ დაინტერესებულ საერთაშორისო მკითხველს განსაკუთრებით სთავაზობს ზუსტ ხედვასაც ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის მოძღვრებზე, აგრეთვე ქვეყნის ახალგაზრდა ისტორიის კონტექსტში, ზოგადად, ქართულ სისხლის სამართალსა და მის განვითარებაზე.

ორგანიზატორის სამართლებრივი ფიგურის შესახებ არსებითი მსჯელობა მისი წარმოშობის მოკლე მიმოხილვით იწყება (გვ. 333 და მომდევნო გვერდები). *ოხანაშვილის* მიხედვით, მისი საწყისები – ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ადრეულ პერიოდთან, ხოლო მისი ფორმირება მაშინდელი კანონმდებლის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ შეხედულებებთან არის არსებითად დაკავშირებული. ამ გზით ნაჩვენებია, რომ თავდაპირველად ეს სამართლებრივი ფიგურა ახალგაზრდა საბჭოთა კავშირის ხელში პოლიტიკური სისხლის სამართლის ინსტრუმენტი იყო და, უპირველეს ყოვლისა, ე. წ. ანტისაბჭოური ქმედებების თავიდან აცილების მიზანს ემსახურებოდა. ვინაიდან ორგანიზატორს ამ კონტექსტში მთავარი ფუნქცია მიენიჭა, მისი კრიმინალურ-პოლიტიკური დასაბუთება საზოგადოებისთვის განსაკუთრებულ საშიშროებაში გამოიხატა. ამგვარი დასაბუთება დღესაც მოქმედია, თუმცა მისი პრაქტიკული მნიშვნელობა პოლიტიკური კონტექსტიდან ორგანიზებულ დანაშაულზე იქნა გადატანილი. *ოხანაშვილი* შესავლის გაკეთებისთანავე აღიარებს იმ შეუსაბამობას, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, ორგანიზატორის ამსრულებლის მსგავსად ან მასზე უფრო მკაცრად დასჯადობასა და მის კრიმინალურ-პოლიტიკურ დასაბუთებას და, მეორე მხრივ, მისი თანამონაწილეობის ერთ-ერთ სახედ განსაზღვრას შორის. თუმცა ორგანიზატორის ფიგურის საკანონმდებლო წარმოშობის დროისთვის დამკვიდრებული და ინტენსიურად გამოყენებადი ფორმალურ-ობიექტური გამიჯვნის შედეგად (რომლის მიხედვითაც, ამსრულებლობა მხოლოდ საკუთარი ხელით, ფიზიკური ქმედების განხორციელებას გულისხმობდა) რელევანტური იყო ორგანიზატორის მხოლოდ თანამონაწილეობის ერთ-ერთ სახედ დამკვიდრება. *ავტორის* აზრით, ორგანიზატორის ფიგურის თანამონაწილეობის

ერთ-ერთ სახედ განსაზღვრა დღევანდელი გადმოსახედიდან არასწორია და ქართველი კანონმდებელი ამ მხრივ მცდარ გზას ადგას (გვ. 336 და მომდევნო გვერდები).

უკვე ცალსახად ამოცნობადი კრიტიკა მიემართება ამ სამართლებრივი ფიგურის დეტალურ დოგმატურ შეფასებას, რომელიც არა მხოლოდ ორგანიზატორის თანამონაწილეობის სახედ განსაზღვრას, არამედ მისი არსებობის მართებულობასაც ეხება (გვ. 383 და მომდევნო გვერდები). აქ უპირველესად განხილულია ორგანიზატორის ფიგურის გამოვლინების ოთხი ფორმის (დანაშაულის ჩადენის მოწყობა ან მისი ხელმძღვანელობა, ასევე, ორგანიზაციული ჯგუფის შექმნა ან ხელმძღვანელობა) თითოეული ობიექტური ნიშანი, აგრეთვე, სუბიექტური ნიშანობები. შედეგად, *ოხანაშვილი* თვალსაჩინოს ხდის კონკრეტული ნორმების შეუთავსებლობას, რაც ორგანიზატორის ფიგურის ფრაგმენტაციას იწვევს გამოვლინების სხვადასხვა ფორმაში (გვ. 378, 409).

განსაკუთრებით გამოკვეთილია ის გადაფარვები, რომლებიც არსებობს დანაშაულის ჩადენის მოწყობ ორგანიზატორსა და ქართული სისხლის სამართლით გათვალისწინებულ დანაშაულის მომზადების დასჯადობას შორის და დანაშაულის ჩადენისას თანამონაწილეობის სხვა სახეებს, ნამქვზებელსა და დამხმარეს შორის (გვ. 351, 378-379, 409-410). ამასთანავე, უარყოფილია ისეთი განსაზღვრებები, როგორებიც არის „ცენტრალური ფიგურა“ და „მოვლენების ბატონი“, რადგან ეს ამსრულებლობასთან ზღვარს აბუნდოვანებს (გვ. 379-380). *ოხანაშვილი* უარყოფს ამ საკითხთან დაკავშირებულ პრეზუმფციას, რომელიც დამნაშავეს განსხვავებით, ორგანიზატორის უფრო მაღალ საშიშროებაზე მიანიშნებს, არ იზიარებს მას როგორც მოძველებულს და, ამის ნაცვლად, საკითხის ქმედებაზე ბატონობის თეორიის კრიტიკიუმებზე დაყრდნობით გადანყვეტაზე მიუთითებს (გვ. 380).

დანაშაულის ჩადენის ხელმძღვანელი ორგანიზატორისთვის წარმოდგენილია თანამსრულებლობის ფორმა ქმედებაზე მისი ფუნქციური ბატონობის გათვალისწინებით, ხოლო ამ მოსაზრების მხარდასაჭერ არგუმენტად წარმოდგენილია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისა და მაშინდელი ე. წ. აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნების სისხლის სამართლის განვითარება (გვ. 381-382, 410). ორგანიზატორის ისეთი ქმედებები, რომლებიც ორგანიზაციული ჯგუფის შექმნას ან მის

ხელმძღვანელობას გულისხმობს, წარმოდგენილია დანაშაულის მომზადების დასჯადობის ზოგადი ნესითა და ორგანიზატორის დასჯადობის ალტერნატიული შესაძლებლობებით. შედეგად, ორგანიზატორის ფიგურის მომწესრიგებელი ნორმის (როგორც არასაჭიროდ მიჩნეული ნორმის) უბრალოდ ამოღების ნაცვლად, უპირატესობა მიენიჭა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში სპეციალური შემადგენლობის *de lege ferenda* დამატებას (გვ. 364, 374, 383, 410-411). ამ მიზნით ავტორი უთითებს, მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ რამდენიმე ისეთ დანაშაულზე, რომელთა შემადგენლობის მიხედვით, კონკრეტული ჯგუფებისა და ფორმირებების შექმნა და ხელმძღვანელობა ასევე დასჯადია (გვ. 363, 373).

ანალიზის შედეგად წარმოდგენილია დასკვნა, რომ ორგანიზატორი მისთვის მიკუთვნებული ინდივიდუალური ნიშნებით არ ხასიათდება, არამედ ის თანამონაწილეობის სხვა სახეებისგან აღებული ელემენტების გაერთიანების გზით არის შექმნილი და ამიტომ მისი სხვა ფიგურებისგან გამიჯვნა თითქმის შეუძლებელია. შედეგად, ასევე შეუძლებელია, მისი, როგორც თანამონაწილეობის დამოუკიდებელი ფორმის, დოგმატური დასაბუთება და ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის მოძღვრებაში მისი, როგორც უნივერსალური ინსტიტუტის, გამართლება (გვ. 384 და მომდევნო გვერდები, 404-405). ამის დასადასტურებლად კი მოტანილია უზენაესი სასამართლოს ოთხი გადაწყვეტილება, რომლებშიც განხილული იყო ორგანიზატორის ფიგურა, როგორც თანამონაწილეობის ერთ-ერთი სახე (გვ. 388 და მომდევნო გვერდები). *ობანაშვილი* ორგანიზატორის რამდენიმე ალტერნატივასთან გადაფარვისა და დანაშაულში მონაწილეობის სხვა ფორმებისგან გამიჯვნის სირთულეების თვალსაზრისით თვალსაჩინოს ხდის გადაწყვეტილებათა დასაბუთების ხარვეზიანობას, ხოლო მის მიერ ამ კუთხით გამოთქმულ კრიტიკას დადასტურებულად მიიჩნევს. აღნიშნული გადაწყვეტილებებში არ არსებობს არც ორგანიზატორის ფიგურის მისაღებად საკმარისი და ადეკვატური დასაბუთება და არც მისი თანამონაწილეობის მხედველობაში მისაღები სხვა ფორმებისგან მკაფიო გამიჯვნა. აქედან გამომდინარე, დასაშვებია იმის ვარაუდი, რომ ორგანიზატორის ფიგურა, როგორც თანამონაწილეობის ერთ-ერთი სახე, პრაქტიკაში ხშირად თვითნებუ-

რად იქნება გამოყენებული, რისთვისაც ავტორი განმსაზღვრელ ტერმინ „რეზინის ფიგურასაც“ იყენებს (გვ. 404, 409, 411).

ნაშრომის ორ ამომწურავ ანალიტიკურ ნაწილს მოჰყვება მესამე ნაწილი, რომელშიც ერთმანეთთან შედარებულია ორგანიზატორული ამსრულებლის „გერმანული“ სამართლებრივი ფიგურა და ორგანიზატორის „ქართული“ სამართლებრივი ფიგურა (გვ. 412 და მომდევნო გვერდები). შერჩეული მაჩვენებლებიდან გამომდინარე (განვითარების საფუძველი და სისხლის სამართლის დოგმატური ასპექტები), ეს შედარება არ არის მხოლოდ ყოველივე ზემოაღნიშნულის შეჯამება, არამედ ის ასევე ემსახურება ორ სამართლებრივ ფიგურას შორის ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავებებისა და მცირე მსგავსებების გამოვლენას. ნათლად არის ნაჩვენები, რომ ორგანიზატორული ამსრულებელი და ორგანიზატორი სრულიად სხვადასხვაგვარად დასაბუთებული, გამართლებული და ჩამოყალიბებული ორი სამართლებრივი ფიგურაა.

დისერტაციაში უმთავრესად გაგრძელებულია დღესდღეობით არსებული მსჯელობა ორგანიზაციული ბატონობის შესახებ. ამ საკითხთან მიმართებით ნაშრომში აქტუალური და დაწვრილებითი მიმოხილვა არის წარმოდგენილი, ხოლო დოგმატური დასაბუთების შედეგად ორგანიზატორული ამსრულებლის სამართლებრივი ფიგურის აღიარებით ამ ფიგურის მომხრეთა წრე კიდევ ერთი ხმით იზრდება. ამასთანავე, ნაშრომი, საქართველოში კანონით განსაზღვრული ორგანიზატორის ფიგურის როგორც თანამონაწილეობის ერთ-ერთი სახის დეტალურ ანალიზსა და თანამონაწილეობის ქართული მოძღვრების საინტერესო ხედვებთან ერთად, მკითხველს, უპირველეს ყოვლისა, აწვდის მოცულობით ინფორმაციას ამ სამართლებრივი ფიგურის საფუძვლისა და ისტორიული კონტექსტის შესახებ. ნათლად არის ასევე წარმოჩენილი ის შეუსაბამობები, რომლებიც დღემდე შენარჩუნებული საბჭოთა სამართლებრივი ტრადიციისა და 1990-იან წლებში კონტინენტური ევროპის გაგებით მოდერნიზებული სისხლის სამართლის კოდექსის (რომელიც, ამ მხრივ, ჯერ კიდევ ახალგაზრდაა) ერთმანეთთან შეჯახებით არის გამოწვეული. *ობანაშვილის* მიდგომის თანახმად, თანამონაწილეობის ამ ფორმაზე უარის თქმა და მისი ნაწილობრივ ახლებური მონესრიგება გონივრულია და დამაჯერებლად დასაბუთებულია. დასაშვებია იმის ვარაუდიც, რომ

ნაშრომმა კონკრეტული თემის მიღმა შესაძლოა ბიძგი მისცეს ქართული სისხლის სამართლის სხვა სფეროებში მსგავსი შეუსაბამობების იდენტიფიცირებასაც. ნებისმიერ შემთხვევაში რჩება იმის იმედი, რომ სარეფორმო წინადადებებს მეცნიერებასა და პრაქტიკაში სათანადო ყურადღება მიექცევა, რაც საქართველოში ორგანიზატორის ფიგურის, როგორც თანამონაწილეობის ფორმის, შესახებ მსჯელობას შეუწყობს ხელს.

გერმანელი და ქართველი მეცნიერების ახალი თანამშრომლობა სისხლის სამართალში: გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული ლექსიკონი, ანგარიში*

სამართლის დოქტორი *მარტინ პიაცენა*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სისხლის სამართლის სფეროში გერმანიასა და საქართველოს შორის აკადემიური გაცვლისა და სამეცნიერო კვლევის ხანგრძლივი ტრადიცია არსებობს და ის მრავალ ნელს ითვლის. თანამშრომლობა საგრძნობლად გაიზარდა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, მათ შორისაა მნიშვნელოვანი სარეზორმო პროექტები და მათი მეშვეობით მიღწეული ისეთი შედეგები, როგორცაა მოდერნიზაცია, პუბლიკაციები და სტრუქტურული ცვლილებები უმაღლეს იურიდიულ განათლებაში. მაგალითისათვის, პირველ რიგში აღსანიშნავია ერთობლივი პროექტი ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკის განვითარებისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სისხლის სამართლის სწავლებისათვის სასწავლო პროგრამის იმპლემენტაციისათვის (2006-2010)¹, ასევე, პროექტი ქართული სისხლის სამართლის პროცესის ინტერნაციონალიზაციისა და ევროპეიზაციისათვის (2016-2021)². აქვე უნდა აღინიშნოს 2015 წელს დაარსებული გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ონლაინ ჟურნალი (DGStZ), რომელიც ორმხრივი პლატფორმაა სამეცნიერო მსჯელობისათვის. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული ლექსიკონის მეშვეობით (DGDSG) თანამშრომლობის სია კიდევ ერთი

საინტერესო ერთობლივი პროექტით ფართოვდება.

ლექსიკონი უნდა იყოს დამხმარე საშუალება ტერმინოლოგიაში არსებული სხვაობების გასაგებად – მიუხედავად გერმანული და ქართული სისხლის სამართლის მრავალი მსგავსებისა – რაც თავისთავად ხელს შეუწყობს გაღრმავებულ გერმანულ-ქართულ სამეცნიერო მსჯელობას სისხლის სამართალში. გამოცდილებამ აჩვენა, რომ საკმარისი არაა ტერმინების უბრალოდ თარგმნა, არამედ სრულყოფილი გაგებისთვის აუცილებელია მათი განმარტება და სისტემურად დალაგება, რადგან იმავე ან მსგავსი ცნების დეტალებში შესაძლოა იმალებოდეს ერთმანეთისაგან განსხვავებული იურიდიული კონსტრუქცია ან კონცეფცია. დასახული მიზანი და, ამავდროულად, გამოწვევაა, აუცილებლობის შესაბამისად, მსგავსებებისა და სხვაობების სრულად გათვალისწინება და შეძლებისდაგვარად კომპაქტურად და მარტივად ჩამოყალიბება. ეს თავისთავად განაპირობებს იმას, რომ ლექსიკონი იქნება სრულად ორენოვანი პუბლიკაცია და შესაბამისად, როგორც გერმანელი, ასევე, ქართველი მკითხველისათვის შესაძლებელი იქნება მისი გამოყენება მეორე ენის ცოდნის გარეშე. ლექსიკონის სრულყოფა ხდება მუდმივად და ის, სისხლის სამართლის მეცნიერების გარდა, ასევე განკუთვნილია ორივე ქვეყნის სტუდენტებისა და სისხლის სამართლის პრაქტიკისათვის.

ლექსიკონის გამოქვეყნება დაიწყო 2021 წლის პირველ ნომერს. პროექტის საწყის ეტაპზე უპირატესობა ენიჭება ორივე ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსების ზოგადი ნაწილების ტერმინებსა და მათი კერძო ნაწილებიდან გამორჩეულ დელიქტებს. მოგვიანებით ლექსიკონი გაფართოვდება და მოიცავს სხვა სფეროებს, როგორცაა სისხლის სამართლის „დამატებითი“ დარგები, სისხლის საპროცესო სამართალი, არასრულწლოვანთა სისხ-

* ანგარიში გერმანულიდან თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა, *მარტინ პიაცენამ*.

¹ ვრცლად იხ. *მჭედლიშვილი-პედრიხი, ქეთევან*, DGStZ (Deutsch-Georgische Strafrechtszeitschrift) 2/2021, 56, <https://dgsz.de/storage/documents/ehESzY9EmLYvdGytc5NP03yICtCn7Mor8OFqWaAe.pdf> (ბოლოს ნანახია 24.05.2022).

² ვრცელი ინფორმაციისთვის იხ. <https://www.rewi.uni-jena.de/fakultaet/lehrstuehle-und-dozenten-innen/strafrechtliche-lehrstuehle/professor-dr-edward-schramm/2-deutsch-georgisches-strafrechtsprojekt-2016-2021> (ბოლოს ნანახია 24.05.2022).

ლის სამართალი, სასჯელალსრულების სამართალი და კრიმინოლოგია. შესაბამისად, დროთა განმავლობაში ლექსიკონი შეივსება და გახდება სისხლის სამართლის სრულყოფილი ლექსიკონი. სისხლის სამართლის ცნებათა განმარტებების შედარებაზე ერთად მუშაობენ ავტორთა გერმანულ-ქართული ჯგუფები, რომლებშიც შედიან არა მხოლოდ პროფესორები, არამედ ასევე ჰაბილიტანდები და დოქტორანტები. ამჟამად დასრულებულია 40-მდე შედარებითი ანალიზი.

ლექსიკონი, როგორც ციფრული პუბლიკაცია, ნებისმიერ დროს უფასოდ არის ხელმისაწვდომი ონლაინ. კერძოდ, ის ხელმისაწვდომია DGStZ-ის ვებგვერდზე³ და ასევე, აღნიშნული პროექტის ერთ-ერთი ინიციატორის, პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხის, ინსტიტუტის გვერდზე⁴, რომელიც განთავსებულია ტუბინგენის უნივერსიტეტის ვებგვერდზე. რადგან ლექსიკონი არაკომერციული პროექტია და მისი მეშვეობით არ ხდება შემოსავლის მიღება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსური მხარდაჭერა. ამას სრულად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ), რომელიც ასევე თავიდანვე ახორციელებდა DGStZ-ის ფინანსურ მხარდაჭერას. ამასთანავე, პროექტს მხარდაჭერა უზრუნველყოფილი აქვს აკადემიურ სიბრტყეში, ორივე ქვეყნის ცნობილი ინსტიტუციების მიერ. ესენი არიან ტუბინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს უნივერსიტეტი.

³ იხ. <https://dgstz.de/page/iuridiuli-leksikoni> (ბოლოს ნანახია 24.05.2022).

⁴ იხ. <https://uni-tuebingen.de/fakultaeten/juristische-fakultaet/lehrstuehle-und-personen/lehrstuehle/lehrstuehle-strafrecht/heinrich/deutsch-georgisches-glossar/> (ბოლოს ნანახია 24.05.2022).